20-021

# ხელშეკრულება

**"სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის სს „სილქნეტისთვის" მიწოდების შესახებ**

ქ. თბილისი 6 თებერვალი 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - **„სამინისტრო"**), წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით, ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო **(შემდგომში - "სააგენტო")**, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, **ლევან გოგოძის** სახით, სს „სილქნეტი" **(შემდგომში - „სილქნეტი")**, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **დავით მამულაიშვილის** სახით და სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში - **„მონაცემთა გაცვლის სააგენტო"),** წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი,

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" და „თ" ქვეპუნქტების, „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ" და „ზ" ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის" მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „სს „სილქნეტის" გენერალური დირექტორის 2012 წლის 31 მაისის N01/89 ბრძანებაში („გარკვეული ჯგუფის აბონენტებისთვის ახალი სატარიფო გეგმის შეთავაზება სააბონენტო გადასახადსა და ადგილობრივ ზარებზე") ცვლილებების შეტანის თაობაზე" სს „სილქნეტის გენერალური დირექტორის 2019 წლის 20 მარტის N01/25 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულებით" მინიჭებული უფლებამოსილების, სს სილქნეტის 2018 წლის 15 მაისის N 217/05-8 და 2019 წლის 26 მარტის N41628 წერილების გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი და საგანი**

1.1. „სილქნეტის" მიერ „სააგენტოსგან" ინფორმაციის გამოთხოვა ხდება თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მისი აბონენტებისთვის (შემდგომში - „მონაცემთა სუბიექტი") სოციალური შეღავათის გავრცელების მიზნით.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, „სილქნეტისგან" გამოგზავნილი „მონაცემთა სუბიექტის" პირადი ნომრის მიხედვით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" (შემდგომში - "ბაზა") არა უმეტეს 57 000 სარეიტინგო ქულით (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი, პირობითი ერთეულით) რეგისტრირებული ოჯახის იმ წევრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (კი/არა), რომელსაც „სილქნეტისთვის" გამოხატული აქვს წერილობითი თანხმობა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის (და სხვა საჭირო ინფორმაციის) გამოთხოვაზე და აკმაყოფილებს შემდეგი მოთხოვნებიდან თუნდაც ერთს:

ა) მარტოხელა არამომუშავე პენსიონერი, სოციალური პაკეტის მიმღები;

ბ) დედ-მამით ობოლი ბავშვი (18 წლამდე ასაკის);

გ) სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი;

დ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (I ჯგუფი).

1.3. „სილქნეტისთვის", ამ მუხლით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულების N1 დანართით (ბაზასთან ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

**მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა**

2.1. „სილქნეტისთვის“ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას;

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

**მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები**

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე „მხარეები“ ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

**მუხლი 4. ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა**

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს „მონაცემთა სუბიექტის“ პირად ნომერს.

4.2. „სააგენტო“, ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებას (დაბრუნებას) „სილქნეტისთვის“ უზრუნველყოფს მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში).

4.3. „სააგენტო“ პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მხოლოდ ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (ინფორმაციის გაცემის თარიღი) „ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემების სისწორეზე.

4.4. პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დაცვაზე (მონაცემთა სუბიექტის თანხმობა) კანონისა და მონაცემთა სუბიექტის წინაშე ეკისრება „სილქნეტს“.

4.5. „სილქნეტი“ აცნობიერებს მისთვის გადასაცემი ინფორმაციის სამართლებრივ სტატუსს, პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას, მისი დაცვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ „სილქნეტის“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია მის საქმიანობასთან და გამოყენებული იქნება მხოლოდ კანონის შესაბამისი მიზნებისათვის, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე ეკისრება „სილქნეტს“.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**5.1.„სილქნეტი“ ვალდებულია:**

ა) არ დაუშვას „სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

ბ) უზრუნველყოს „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი „ბაზიდან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად;

გ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის,

შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;

დ) აცნობოს „სააგენტოს" იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

ე) ხელშეკრულების ფარგლებში, ელექტრონულად აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც „სილქნეტში" უნდა ინახებოდეს არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ვ) მიაწოდოს „სააგენტოს" ამ მუხლის 5.1. პუნქტის „ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით აღრიცხული ინფორმაცია, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

**5.2.„სილქნეტი" უფლებამოსილია:**

ა) მოითხოვოს „მხარეებისაგან" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა;

ბ) გამოითხოვოს პირველი მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, საჭიროების მიხედვით, მხოლოდ აბონენტის შესაბამისი შეღავათებით სარგებლობის მიზნით, არაერთჯერადად.

**5.3. „სააგენტო" ვალდებულია:**

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

ბ) მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს", არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

გ) „სილქნეტს" ინფორმაცია მიაწოდოს მოთხოვნის მიღებიდან მყისიერად, დროის რეალურ რეჟიმში, ამ ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობებით, ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (მონაცემების გაცემის თარიღი) „ბაზაში" დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით.

**5.4.„სააგენტო" უფლებამოსილია:**

ა) „სილქნეტისგან" მიიღოს ინფორმაცია იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) „სილქნეტისგან" მიიღოს ამ მუხლის 5.1. პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

**5.5. „სამინისტრო" ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) მონაცემთა წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს", არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

**5.6. „სამინისტრო" უფლებამოსილია,** მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

**5.7. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) არ დაუშვას „სააგენტოსაგან" მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან" მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), კოპირება/შენახვა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მას;

გ) მონაცემთა წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს", არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

5.8. **„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ უფლებამოსილია,** მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

**მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი**

6.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. თითოეული მხარე დამოუკიდებლად აგებს პასუხს ამ ხელშეკრულებით მისთვის განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის/არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, „სილქნეტს“ დაეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, ,,ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების ყოველი დარღვევისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის, რომლის გადახდა განხორციელდება მიმღების მიერ მითითებულ ანგარიშზე.

6.3. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება არ გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ზომის გამოყენების შესაძლებლობას.

6.4. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

**მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები**

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

8.2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების გაგრძელების სურვილს, ეს ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობა მოქმედებს ხელშეკრულების ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლიანი მოქმედების ვადის განმავლობაში.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

8.5. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

8.7. დანართი N1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 9. დამატებითი პირობები**

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მხარეები ვადასტურებთ, რომ „სააგენტო“ არ არის პასუხისმგებელი და მას არ შეიძლება მოეთხოვოს პასუხი ისეთ შესაძლო ზარალზე და/ან ზიანზე, რომელიც, სააგენტოსაგან გაცემული ინფორმაციის საფუძველზე, მიადგა ან მიადგება „სილქნეტს“ და/ან მონაცემთა სუბიექტს და/ან ნებისმიერ მესამე პირს, „სილქნეტის“ მხრიდან რაიმე სახის სოციალური დახმარებით (ფულადი ან არაფულადი) უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქმედების ან უმოქმედობის შედეგად.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, „სილქნეტი“ ადასტურებს მზაობას, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, დამოუკიდებლად უზრუნველყოს ნებისმიერი პირის დაკმაყოფილება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზარალის ან/და ზიანი დადგომისას.

9.3. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის (გაუქმების, ძალდაკარგულად გამოცხადების) შემთხვევაშიც.

**მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები**

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144

საიდენტიფიკაციო კოდი: 211333957

**მიხეილ ჯანიაშვილი**
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა
ანალიტიკის დეპარტამენტის
უფროსი

**სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო**

ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144,

საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

**ლევან გოგომე**
დირექტორის მოადგილე

**სს „სილქნეტი“**

ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N95

საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978

**დავით მამულაიშვილი**
გენერალური დირექტორი

**სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო**

ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის N2

საიდენტიფიკაციო კოდი:204577699

**ნიკოლოზ გაგნიძე**
თავმჯდომარე

## დანართი 1

### „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

**ინფორმაცია, არის თუ არა პიროვნება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში.**

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნების პირადი ნომერი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml:

## Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonByStatuses</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები  </SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები </Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonByStatuses:v1">
      <PrivateNumber>PrivateNumber</PrivateNumber>
      <UserName>UserName</UserName>
      <Password>Password</Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

## Response.xml

```
  <Body>
    <PeronUnderPovertyResult xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance"
xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema"
xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonUnderPoverty:v1">
      <ResultStatus>
        <StatusCode> Status Code </StatusCode>
        <StatusDescription> Status Description </StatusDescription>
      </ResultStatus>
      <PeronsUnderPoverty>
          <PrivateNumber>Private Number</PrivateNumber>
          <IsUnderPoverty>Is Under Poverty</IsUnderPoverty>
      </PeronsUnderPoverty>
    </PeronUnderPovertyResult>
  </Body>
</GovTalkMessage>

<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_CheckPersonByStatuses</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
      <GatewayTimestamp> GatewayTimestamp </GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <PersonCheckByStatusesResult xmlns:xsi=http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance
       xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema"
       mlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_CheckPersonByStatuses:v1">
      <ResultStatus>
        <StatusCode> Status Code </StatusCode>
        <StatusDescription> Status Description </StatusDescription>
      </ResultStatus>
      <PrivateNumber> Private Number </PrivateNumber>
      <IsInRange> Is in Range </IsInRange>
    </PersonCheckByStatusesResult>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** `<Body></Body>` მოთავსებულია სერიალიზირებული `PersonCheckByStatusesResult` კლასი (იხ. ქვემოთ)

**მოთხოვნის პასუხის** მნიშვნელობები მოცემული ცხრილი #1

**ოპერაციის გამოძახების** შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage
xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

**PersonCheckByStatusesResult კლასის აღწერა**

```
/// <summary>
/// მოთხოვნის პასუხის სტატუსი
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode              // სტატუსი კოდი
    string StatusDescription    // სტატუსის განმარტება
}
```

```
/// <summary>
/// მოთხოვნის, არის თუა პიროვნება სტატუსების დიაპაზონში, პასუხი
/// </summary>
public class PersonCheckByStatusesResult
 {
    ResultStatus ResultStatus // ოპერაციის სტატუსი
    string PrivateNumber      // პირადი ნომერი
    bool IsInRange            // სარეიტინგო ქულის არსებობა სტატუსებში
                                (true - მოთავსებულია, false -არაა მოთავსებული)
 }
```

**ცხრილი #1:** სტატუსის კოდები და განმარტება

| პასუხის კვალიფიცირება | StatusCode | StatusDescription |
|---|---|---|
| შეცდომა | -1 | Wrong username/password or Access denied |
| შეცდომა | -1 | because of technical gap, it is impossible to search information |
| შეცდომა | -1 | სისტემის შეცდომა (Exception) |
| | 1 | Operation success |

| ვიზირების გვერდი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1. ინიციატორი - პროდუქტების განვითარებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსის მ/შ | მ. კოპაძე | / / |
| 2. შემსრულებელი | მ. ქოქიაშვილი | / / |
| 3. კომერციული დირექტორი | ნ. ჩინჩალაძე | |
| 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დირექტორი | შ. ღვინიანიძე | / / |
| 5. ფიქსირებული აბონენტების მომსახურების პროგრამირების სამსახურის უფროსი | დ. ჩხაბერიძე | / / |
| 6. ბილინგის დეპარტამენტის უფროსი | დ. იობიძე | / / |
| 7. აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის უფროსი | რ. სვანი | / / |
| 8. სხვა აუცილებელი სამსახურ(ებ)ი (საჭიროების შემთხვევაში) | _____ | / / |
| 9. დირექტორატი (საჭიროების შემთხვევაში) | _____ | / / |
| 10. იურიდიული დეპარტამენტის უფროსი | კ. ყურაშვილი | / / |